



ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება



შინაარსი

პრეამბულა. მოქმედი შემოკლებები და განმარტებები	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	4
მუხლი 2. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა	4
მუხლი 3. მისანიჭველი კვალიფიკაცია. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.....	4
მუხლი 4. გადაწყვეტილება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და/ან განხორციელების შესახებ	5
მუხლი 5. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.....	5
მუხლი 6. მობილობა	7
მუხლი 7. კრედიტების აღიარება	7
მუხლი 8. ერთობლივი პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსები.....	7
მუხლი 9. ერთობლივი პროგრამის დამტკიცება	7
მუხლი 10. ერთობლივი პროგრამის განხორციელება. პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა. პროგრამაში ცვლილებების შეტანა. პროგრამის გაქმება.....	7
მუხლი 11. დასკვნითი დებულებები	8



პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის ნორმატიული დოკუმენტია;
2. წინამდებარე დებულება:
 1. შემუშავებულია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
 2. დამტკიცებულია ბნსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
 3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. წინამდებარე დებულება ვრცელდება ბნსუ-ს შემდეგ დოკუმენტებზე:
 1. ერთობლივი პროგრამის შემუშავება-განხორციელების მიზნით შექმნილი წესები/სხვ.;
5. წინამდებარე დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
 1. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
 2. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ.ვერსია);
 3. ბნსუ-ს ფაკულტეტებზე (ელ.ვერსია).
6. დებულების ნორმატიული საფუძველი:
 1. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
 2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
 3. საქართველოში განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტები;
 4. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
 5. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
 6. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
 7. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს შინაგანაწესი (ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება);
 8. ნდ №2-030101-01 – ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
 9. ნდ №2-020101-01 – „სასწავლო უნივერსიტეტში შიგა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედების უზრუნველყოფის პროცედურა“;
 10. ნდ №2-020101-02 – „სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობაში გამოყენებადი მოქმედი დოკუმენტების და ფორმების კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცედურა“;
 11. ნდ №2-020101-03 – „სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცედურა“.

ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

- ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ხს - ხარისხის სისტემა;
- ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- პროფესიული განათლების კრედიტი - პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის (დატვირთვის) გამოხატვითი ერთეული;
- სდ - საინფორმაციო დოკუმენტი;
- სსა - საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია;
- ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- სტრუქტურული ერთეულის დებულება - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს ან მიმართულებას, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ფუნქციებს;
- აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;
- სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო / სამაგისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება; ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში – ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი), მისიდან და მისიის საფუძველზე ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ორიენტირებულია საქართველოს და საერთაშორისო განათლებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებაზე და თავისი საქმიანობის პრიორიტეტებად მიიჩნევს საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზრის და საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას, ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფას, კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციას, თანამშრომლობას საქართველოს და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მათ შორის, ერთობლივი პროგრამების შემუშავება-განხორციელების, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობის მიზნით;
2. წინამდებარე დებულება შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და გზამკვლევის „ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა & ერთობლივი აკადემიური ხარისხი. European Commission TEMPUS“ საფუძველზე;
3. წინამდებარე დებულება არეგულირებს ბნსუ-ში ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 2. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – ერთობლივი პროგრამა ან პროგრამა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას/დაწესებულებებს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, აგრეთვე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – უნივერსიტეტთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას/საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას შორის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმების საფუძველზე და რომლის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით და ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმების საფუძველზე გაიცემა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;

2. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 47¹-49-ე მუხლებით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება ერთობლივად განხორციელდეს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ/დაწესებულებებმა და დამოუკიდებელმა სამეცნიერო-კვლევითმა ერთეულმა/ერთეულებმა ან/და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – უნივერსიტეტთან არსებულმა საჯარო სამართლის იურიდიულ პირმა – სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ ან/და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებლად მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები. ამ პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტი უნდა შეთანხმდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება მისი განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულების მიერ, რაც განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით. იმ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლისთვისაც ამ კანონით სავალდებულოა აკრედიტაციის გავლა, დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ერთობლივი აკადემიური ხარისხი – საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შედეგად მათ მიერ პირისთვის აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრების შედეგად ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაცია. ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება მისი განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულების მიერ, რაც განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით;

4. ერთობლივი პროგრამაზე ჩარიცხვა – სტუდენტი ერთობლივ პროგრამაზე ჩარიცხება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი განმახორციელებელი პარტნიორი დაწესებულების წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ ერთ-ერთ უსდ-ში. საქართველოს მოქალაქე ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სხვა პირი ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი განმახორციელებელი დაწესებულების წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

5. ერთობლივი პროგრამის განხორციელების წესს ბნსუ და მისი პარტნიორი დაწესებულებები (ბნსუ-ს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში - პარტნიორი უსდ-ები) ერთობლივად ადგენენ. ბნსუ, როგორც სასწავლო უნივერსიტეტი, უფლებამოსილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ერთ ან მეტ პარტნიორ უსდ-სთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს უმაღლესი განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები. ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელმა პარტნიორმა უსდ-ებმა უნდა უზრუნველყონ ერთობლივი პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა (პროგრამის აღწერა, მიღების წინაპირობები და პროცედურები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია/ხარისხი, ცხოვრების პირობები პარტნიორი უსდ-ს ქვეყანაში და სხვ.);

6. ლისაბონის აღიარების კონვენციის რეკომენდაციების განმარტებებიდან გამომდინარე:

- ერთობლივი პროგრამა უნდა იყოს შემუშავებული და დამტკიცებული ყველა პარტნიორი უსდ-ს მიერ (პარტნიორი უსდ-ები ერთად შეიმუშავებენ კურიკულუმს, აყალიბებენ პროგრამაზე დამუშავების პირობებს და სხვ.);
- პარტნიორი უსდ-ს სტუდენტმა უნდა ისწავლოს სხვა პარტნიორ უსდ-ში (მაგრამ აუცილებელი არაა ყველა პარტნიორ უსდ-ში სწავლა);
- სტუდენტის მიერ პარტნიორ უსდ-ში გატარებული სასწავლო პერიოდი უნდა შეადგენდეს პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს;
- პარტნიორ უსდ-ში სწავლის პერიოდში მიღებული კრედიტები და შეფასებები აღიარებულ უნდა იქნეს სრულად და ავტომატურად;
- პარტნიორმა უსდ-ებმა ხელი უნდა შეუწყონ პარტნიორი უსდ-ების აკადემიურ პერსონალს ასწავლოს სხვა პარტნიორ უსდ-ში.

მუხლი 3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

1. ერთობლივი პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა ასახავდეს პროგრამის შინაარსს და იყოს შესაბამისობაში პარტნიორი უსდ-ების ქვეყნების კანონმდებლობასთან;



2. პარტნიორი უსდ-ების ქვეყნ(ებ)ის სამართლებრივი ბაზა შესაძლებელია არ იძლეოდეს პარტნიორი უსდ-ები(ებ)ს მთელი ერთობლივი დიპლომის გაცემის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში, როგორც ლისაბონის აღიარების კონვენციის რეკომენდაციებშია მითითებული, კურსდამთავრებულმა შეიძლება მიიღოს: 1) ერთი ეროვნული დიპლომი, რომელსაც თან დაერთვის არაოფიციალური სერთიფიკატი ყველა პარტნიორი უსდ-ს უფლებამოსილი პირების ხელმოწერით; ან 2) ერთი ან მეტი ეროვნული დიპლომი, რომელიც ადასტურებს ერთობლივ კვალიფიკაციას. საქართველოს პარტნიორი უსდ-ების შემთხვევაში ეს არის: ქართული დიპლომი, აღიარებული საქართველოს კანონმდებლობით, უცხოეთის პარტნიორი უსდ-ებ(ებ)ის შემთხვევაში – პარტნიორი უსდ-ები(ებ)ს დიპლომ(ებ)ი, აღიარებული პარტნიორი უსდ-ები(ებ)ს ქვეყნ(ებ)ის კანონმდებლობით;

3. „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამატებითი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №126/ნ (2011 წლის 22 ივლისი) ბრძანების (დანართი 1, მ.2, 3.6) თანახმად, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შედეგად გაცემულ დიპლომში მიეთითება პროგრამის განმახორციელებელი ყველა უსდ-ს მონაწილეობა: 1) დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით); 2) დაწესებულების ლოგო/გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); 3) კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოს სახელწოდება; 4) იმ ერთეულის ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა, რომელმაც მიანიჭა კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი; 5) დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა; 6) დაწესებულების ბეჭედი; 7) დიპლომის სარეგისტრაციო ნომერი დიპლომებისა და დამტკიცებების ერთიან რეესტრში. დიპლომის დანართში მიეთითება პროგრამის რომელი ნაწილის შესწავლა მოხდა პარტნიორ უსდ-ში.

მუხლი 4. გადაწყვეტილება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და/ან განხორციელების შესახებ

1. ბნსუ-ს აკადემიური საბჭო, პარტნიორთა კრების ან საკუთარი ინიციატივით: 1) განსაზღვრავს საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას/დაწესებულებებს, რომლებთანაც მიზანშეწონილია კონკრეტული ერთობლივი პროგრამის განხორციელება, ან 2) განიხილავს საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ის (შემდგომში - უსდ) წინადადებას/შეთავაზებას ერთობლივი პროგრამის შემუშავების და განხორციელების შესახებ. ერთობლივი პროგრამის შემუშავების და განხორციელების მიზანშეწონილობის განხილვისას მხედველობაში მიიღება: ბნსუ-ს მისიასთან ერთობლივი პროგრამის შესაბამისობა, მისი აქტუალობა და განხორციელების საჭიროება; საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან ერთობლივი პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა; ერთობლივი პროგრამის განხორციელების და შემდგომი განვითარების, შრომის და განათლების ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის, პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა, აკადემიური პერსონალის, დარგის სპეციალისტების, პოტენციური დამსაქმებლების და ბნსუ-ს პარტნიორი-დაწესებულებების/ორგანიზაციების წარმომადგენლების (მათ შორის ბნსუ-ს კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლების) მოსაზრებები და სხვ. საკითხის განხილვის შედეგად აკადემიური საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციას ერთობლივი პროგრამის შემუშავების და განხორციელების შესახებ;

2. საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უსდ-ები(ებ)ს წინადადებას/შეთავაზებას და ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს რეკომენდაციას კონკრეტული ერთობლივი პროგრამის შემუშავების და განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ განიხილავს ბნსუ-ს პარტნიორთა კრება, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ერთობლივი პროგრამის შემუშავების და განხორციელების ან შემუშავებაზე და განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ;

3. ერთობლივი პროგრამის განხორციელების საფუძველია საქართველოს და პარტნიორი უსდ-ები(ებ)ს ქვეყნ(ებ)ის კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, ბნსუ-ში და პარტნიორ უსდ-ებ(ებ)ში მოქმედი წესით ერთობლივი პროგრამის დამტკიცება, ბნსუ-სა და ყველა პარტნიორ უსდ-ს შორის მიღწეული შეთანხმებები, რომელთა თანახმად ყველა პარტნიორი უსდ-ები იღებენ ვალდებულებას ერთობლივი პროგრამის განხორციელებაზე (განსაზღვრულია ერთობლივი პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და სხვ.);

4. ყველა პარტნიორი უსდ-ებისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი სხვა პარტნიორი უსდ-ს ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნები, მათ შორის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ, და პარტნიორ უსდ-ში ერთობლივი პროგრამის დამტკიცების პროცედურები და წესები.

მუხლი 5. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

1. პირველ ეტაპზე: ბნსუ-ს და პარტნიორ უსდ-ს მიერ დგინდება ერთობლივი პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზანშეწონილობა. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განისაზღვრება ერთობლივი პროგრამის საჯარაუბლო დასახელება (შეიძლება შეიცვალოს პროგრამის შემუშავების პროცესში), უმაღლესი განათლების საფეხური, პროგრამის მიმართულება/სპეციალობა/სპეციალიზაცია (სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში) და მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. პარტნიორი უსდ-ები ერთმანეთს აცნობენ თავიანთი ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნებს და დაწესებულებებში მოქმედ რეგულაციებს, პროცედურებს და წესებს;

2. მეორე ეტაპზე: ერთობლივი პროგრამის შემუშავების მიზნით ბნსუ-ში და პარტნიორ უსდ-ში იქმნება სამუშაო ჯგუფ(ებ)ი. სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა: ბნსუ-ში – შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული დარგის სპეციალისტები – აკადემიური პერსონალი (პროფესორთა შემადგენლობიდან) და მოწვეული სპეციალისტები, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის და იურიდიული სამსახურების უფროსები და სხვ., პარტნიორ უსდ-ში – მის მიერ განსაზღვრული დარგის სპეციალისტები და სხვ. სამუშაო ჯგუფების მიერ ხდება სამუშაო პროცესის ძირითადი დეტალების დაზუსტება და საქართველოს და პარტნიორი უსდ-ს ქვეყნის კანონმდებლობისა და დაწესებულებებში მოქმედი რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის საბაზო საკითხების ჩამოყალიბება – ერთობლივი პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია, პროგრამაზე დამუშავების წინაპირობები, სწავლების ენა, სწავლების ხანგრძლივობა, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, კრედიტის მოცულობა ასტრონომულ საათებში, ასტრონომული და აკადემიური საათების ურთიერთთანაფარდობა, აკადემიური წლის და სემესტრის ხანგრძლივობა (კვირების რაოდენობა), სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა და წესი, პროგრამის სტუდენტების მიერ მიღებული კრედიტების და შეფასებების აღიარება (ურთიერთჩათვლა) და სხვ. კრედიტების აღიარების მექანიზმები უნდა იყოს დაფუძნებული ან თავსებადი ECTS-სთან. შესაძლებელია, რომ პარტნიორ უსდ-ში, როგორც შეფასების, ასევე საკრედიტო სისტემაზე განსხვავებული იყოს საქართველოში მოქმედი სისტემისგან. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია წინასწარ დადგინდეს თავსებადობა აღნიშნულ სისტემებს შორის. ზემოთმითითებულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევის საფუძველზე სამუშაო ჯგუფებს მიერ განისაზღვრება პროგრამის მიზნები და შედეგები, რომელიც სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები აუცილებელია პროგრამის დაგეგმილი მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, რომელიც სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები განხორციელდება ბნსუ-ში და პარტნიორ უსდ-ში სტუდენტთა სწავლის შედეგად და სხვ., დგინდება პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსები და ამ რესურსებით უზრუნველყოფა პარტნიორი უსდ-ების მიერ და სხვ. სამუშაო ჯგუფების მიერ შე-



თანხმებული საკითხები საფუძვლად უდევს ბნსუ-სა და პარტნიორ უსდ-ს შორის დადებულ შეთანხმებებს;

3. მესამე ეტაპზე: ზემოთ მითითებულ საკითხებზე ურთიერთშეთანხმების მიღწევის საფუძველზე ხდება ერთობლივი პროგრამის კურიკულუმისა და სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების პროგრამების (სილაბუსების) შემუშავება საქართველოს და პარტნიორი უსდ-(ებ)ის ქვეყნ(ებ)ის კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულებებში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, რათა არსებობდეს საკმარისი გარანტიები იმისათვის, რომ პროგრამა იქნება სამართლებრივად აღიარებული. პროგრამის კურიკულუმისა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შემუშავებაში მონაწილეობენ ბნსუ-ს და პარტნიორი უსდ-ს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი (პროფესორთა შემადგენლობიდან) და მოწვეული სპეციალისტები. ერთობლივი პროგრამის კურიკულუმისა და სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსის ფორმები (შეიძლება იყოს ერთნაირი ან განსხვავებული) უნდა შეიცავდეს პარტნიორ უსდ-ებში მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრულ ინფორმაციას.

პროგრამის კურიკულუმში უნდა იყოს ასახული:

- პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორი დაწესებულებები (სრული ჩამონათვალი); • პროგრამის დასახელება; • უმაღლესი განათლების საფეხური;
 - პროგრამის მიმართულება/სპეციალობა/სპეციალიზაცია (მაგისტრატურის შემთხვევაში); • მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია;
 - პროგრამის მოცულობა, ECTS (უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნას: ბაკალავრიატი – არანაკლებ 240 კრედიტი, მაგისტრატურა – არანაკლებ 120 კრედიტი) და სტრუქტურა (უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნას: ბაკალავრიატი – ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტი, ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტი, გ) ძირითადი სპეციალობა და ორი დამატებითი სპეციალობა; მაგისტრატურა – პროგრამა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან, ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს კვლევით კომპონენტს; სასურველია, სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებდეს პრაქტიკას. ასევე, ა) რეგულირებადი პროგრამის შემთხვევაში – ერთობლივი პროგრამის მოცულობის არანაკლებ 75% უნდა დაეთმოს სპეციალობის კომპონენტს, ბ) ერთობლივი პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); • პროგრამაზე დაშვების და მიღების წინაპირობები (საქართველოს და პარტნიორი უსდ-ს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად; შესაძლებელია პარტნიორი უსდ-ების მიერ დამატებით განისაზღვროს მიღების პირობა); • სწავლების ენა (სწავლების ენის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, რომ ენის არჩევა მოითხოვს: 1) პროგრამაზე დაშვების ისეთ წინაპირობას, როგორცაა უცხო ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა (კურიკულუმში უნდა იყოს მითითებული უცხო ენა და მისი ფლობის დონე), 2) ენის სწავლებას პარტნიორ-დაწესებულებაში სწავლის პერიოდამდე, 3) შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დასაშვებია უცხოურ ენაზე პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეთავაზება; პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან); • პროგრამის მიზნები და დაგეგმილი სწავლის შედეგები (სწავლის შედეგები – უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით შესაბამისი საფეხურისთვის დადგენილ კომპეტენციებს) და დარგობრივ მახასიათებლებს (არსებობის შემთხვევაში); • პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსები (უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის სპეციფიკას და დარგობრივ მახასიათებლებს (არსებობის შემთხვევაში)); • კურსდამთავრებულის შესაძლო დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
 - პროგრამის სასწავლო გეგმა (პროგრამის ყველა პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსები, პრაქტიკა, საბაკალავრო/სამაგისტრო და სხვ. ნაშრომი) დასახელების, კრედიტებში მოცულობის, შესწავლის წინაპირობების, სწავლების ენის, სწავლების სემესტრის, სტუდენტის სასწავლო დატვირთვის მითითებით). პროგრამის ყველა კომპონენტი არის ერთსემესტრიანი. სასწავლო გეგმით შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს არჩევანის შესაძლებლობას. ცოდნის გადაცემა უნდა ხდებოდეს საფეხურებრივი პრინციპით „მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან კერძოსკენ“, რათა ეტაპობრივად და თანმიმდევრულად პროგრამის კომპონენტების შესწავლით უკვე შეძენილი ცოდნის/უნარების გაღრმავებით და სრულყოფით და ახალი ცოდნის/უნარების შეძენით მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევა); • სწავლის შედეგების რუკა (პროგრამის ყველა სავალდებულო და არჩევით კომპონენტის და ამ კომპონენტების შესწავლით მიღწეული კომპეტენციების მითითებით);
- პროგრამის კურიკულუმით უნდა დგინდებოდეს:
- პროგრამის კომპონენტები (სასწავლო კურსები და/ან სხვ.), რომლებიც განხორციელდება პარტნიორ უსდ-ში (პარტნიორ უსდ-ში სწავლის პერიოდი უნდა იყოს განსაზღვრული კურიკულუმში); • სწავლების ფორმა (საქართველოში პროგრამაზე სწავლების ფორმა არის დასწრებული. სასწავლო კურსების შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული ელექტრონული სწავლება – თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი) და სწავლის საფასური; • პარტნიორ უსდ-ში სტუდენტთა შეფასებების და კრედიტების აღიარების (ურთიერთჩათვლის) საკითხები.
- გარდა ზემოთ მითითებულისა, კურიკულუმში შეიძლება შეიცავდეს პროგრამასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციასაც და უნდა შეესაბამებოდეს პარტნიორ უსდ-ებში არსებულ მოთხოვნებს. პროგრამის შემადგენელი ნაწილია სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კომპონენტის სილაბუსები. სილაბუსით უნდა დგინდებოდეს:
- პროგრამის კომპონენტის დასახელება; • საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება; • უმაღლესი განათლების საფეხური; • სწავლების ენა;
 - სილაბუსის ავტორი/განმახორციელებელი და საკონტაქტო ინფორმაცია; • პროგრამის კომპონენტის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი);
 - კრედიტების რაოდენობა, შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის გათვალისწინებით; • დაშვების წინაპირობები; • მიზნები;
 - დაგეგმილი სწავლის შედეგები;



- შინაარსი;
- სწავლების/სწავლის მეთოდები;
- სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა, მეთოდები და კრიტერიუმები;
- ძირითადი/სავალდებულო, დამატებითი/დამხმარე ლიტერატურა და სხვა რესურსები;

გარდა ზემოთ მითითებულისა, სილაბუსი შეიძლება შეიცავდეს სხვა ინფორმაციასაც და უნდა შეესაბამებოდეს პარტნიორ დაწესებულებებში არსებულ მოთხოვნებს.

ამავე ეტაპზე პარტნიორი უსდ-ები ადგენენ პროგრამაზე სწავლის სავსაურს, თითოეული პარტნიორი დაწესებულების ინდივიდუალურ წვლილს პროგრამის დაფინანსებაში, პროგრამის დაფინანსების წყაროებს (პარტნიორი უსდ-ების ბიუჯეტებიდან გამოყოფილი თანხები, პროგრამით სწავლის სავსაური, გრანტები და/ან სხვ. წყაროები, რომლებიც ნებადართულია საქართველოს და პარტნიორი უსდ-ს ქვეყნის კანონმდებლობით), პარტნიორ უსდ-ებში სწავლისას საცხოვრებელი პირობებით სტუდენტების უზრუნველყოფის საკითხები და სხვ. ზემოთ მითითებულ საკითხზე მუშაობის დასრულების შემდეგ დგება შეთანხმება პარტნიორ უსდ-ებებს შორის;

4. მეოთხე ეტაპზე: პროგრამის საბოლოო პროექტი და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა იყოს წინასწარ შეთანხმებული ყველა პარტნიორ უსდ-სთან, რომლებიც პროგრამის შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობის ასპექტებს აზუსტებენ თანხმობის წერილში (მითითება ერთობლივი პროგრამით გათვალისწინებული პარტნიორი უსდ-ების მონაწილეობის მიმართულებები – მაგ., პროგრამის თანახმდგანელოება, კურიკულუმის და სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შემუშავებაში/განახლებაში/სრულყოფაში მონაწილეობა, პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი თანამედროვე სასწავლო და საილუსტრაციო მასალით, სახელმძღვანელოებითა და სხვ. პროგრამის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა და საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობა, პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ცალკეული სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების წარმართვა/განხორციელებაში თანამონაწილეობა, სტუდენტთა ნაშრომების ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, გაერთიანებული მიზნობრივი კომისიების შექმნა და მუშაობაში მონაწილეობა და/ან სხვ.). სავალდებულოა, რომ პროგრამის შეთანხმებული პროექტი იყოს დამტკიცებული ყველა პარტნიორ უსდ-ში მოქმედი წესით და უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ და არსებობდეს გარანტიები იმისათვის, რომ ერთობლივი პროგრამა სამართლებრივად აღიარებული იქნება პარტნიორი უსდ-ების ქვეყნებში. ასევე, სავალდებულოა, რომ ერთობლივი პროგრამის განხორციელების მიზნით ყველა პარტნიორი უსდ-ის ხელმძღვანელმა წერილობით დაადასტურეს პარტნიორი უსდ-ს ვალდებულება პროგრამის განხორციელებაზე, საბოლოო შეთანხმებით უნდა დგინდებოდეს: პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების დასახელების და კრედიტებში მოცულობის მითითებით), პროგრამით სწავლის ხანგრძლივობა, პროგრამაზე მიღების წესი, პარტნიორ დაწესებულებაში სწავლის ორგანიზების საკითხები, პროგრამის ის ნაწილი (სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები კრედიტებში მათი მოცულობის მითითებით), რომლის განხორციელებაც ხდება პარტნიორ უსდ-ში, ინფორმაცია პარტნიორ უსდ-ში წინასწარ შეთანხმებულ სასწავლო კურსებზე/პროგრამის კომპონენტებზე მინიჭებული კრედიტების სრულად და ავტომატურად აღიარების შესაძლებლობის და სტუდენტის მიღწევების შეფასების შესაბამისობის შესახებ, პროგრამის განხორციელებისას თითოეული პარტნიორის მიერ გამოყენებული რესურსები და სხვ.;

5. მეხუთე ეტაპზე: ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ბნსუ-სა და უარტნიორ უსდ-ს შორის ხელშეკრულების დადება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე (შემდგომში - ხელშეკრულება).

მუხლი 6. მობილობა

ერთობლივი პროგრამის ფარგლებში პარტნიორ უსდ-ში სწავლა: ერთობლივი პროგრამის განხორციელება ითვალისწინებს სტუდენტების თეორიულ სწავლებას ან/და პრაქტიკას ან/და საბაკალავრო/სამაგისტრო ან სხვ. ნაშრომის შესრულებას პარტნიორ უსდ-ში. პარტნიორ უსდ-ში სწავლის პერიოდი წინასწარ არის განსაზღვრული პროგრამის კურიკულუმში. სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან მობილობის შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს და პარტნიორი უსდ-ს ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი და პარტნიორ დაწესებულებებში მოქმედი დებულებებიდან განსაზღვრული წესები.

მუხლი 7. კრედიტების აღიარება

1. ერთობლივი პროგრამის პარტნიორ უსდ-ში მიღებული განათლების და სტუდენტის მიღწევების შეფასების აღიარება. პარტნიორ უსდ-ში სწავლის პერიოდში მიღებული განათლება (კრედიტები) და შეფასებები უნდა იქნეს სრულად და ავტომატურად აღიარებული. კრედიტების და შეფასებების აღიარების (საქართველოში მოქმედ სისტემასთან თავსებადობის/შესაბამისობის დადგენის) წესი უნდა იყოს შეთანხმებული ერთობლივი პროგრამის შემუშავების პროცესში;

2. მობილობით/მიდამობილობით ერთობლივი პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში სხვა საგანმანათლებლო პროგრამით მიღებული კრედიტების აღიარება ხდება საქართველოს და პარტნიორი უსდ-ს ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი და პარტნიორ უსდ-ებში მოქმედი დებულებით.

მუხლი 8. ერთობლივი პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსები

1. ერთობლივი პროგრამა უნდა იყოს უზრუნველყოფილი პარტნიორი უსდ-ების საერთო ადამიანური რესურსით: პარტნიორი უსდ-ების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები ერთად შეიმუშავებენ პროგრამის კურიკულუმს, მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებაში – ასწავლიან პარტნიორ უსდ-ში (მაგ., პარტნიორ უსდ-ში კითხულობენ ლექციებს, ხელმძღვანელობენ ან თანახელმძღვანელობენ პრაქტიკას, საბაკალავრო ან/და სხვ. ნაშრომებს და ა.შ.). პარტნიორი უსდ-ების შეთანხმებით ერთობლივ პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი;

2. პროგრამის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა ხდება პარტნიორი უსდ-ების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ფინანსური რესურსებით და სხვ., რაც გათვალისწინებულია პარტნიორი უსდ-ებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 9. ერთობლივი პროგრამის დამტკიცება

1. პროგრამის შეთანხმებული პროექტი უნდა იყოს დამტკიცებული ყველა პარტნიორ უსდ-ში – მათი ქვეყნების კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პარტნიორ უსდ-ში მოქმედი წესით და უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ;

2. ბნსუ-ში ერთობლივი პროგრამის დამტკიცების გადაწყვეტილება მიიღება, თუ ერთობლივი პროგრამა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, უზრუნველყოფილია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებით, არსებობს მისი სამართლებრივი აღიარების საფუძველი და სხვ.

მუხლი 10. ერთობლივი პროგრამის განხორციელება. პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა. პროგრამის გაქმნა

1. ერთობლივი პროგრამა ხორციელდება პარტნიორი უსდ-ების მიერ დამტკიცებული კურიკულუმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შესაბამისად. ერთობლივი პროგრამის განხორციელებელი პარტნიორი უსდ-ები მოქმედებენ მათი ქვეყნების



კანონმდებლობისა და უსდ-ებში მოქმედი დებულებების/რეგულაციების საფუძველზე, რის შესახებ წინასწარ უნდა იყოს ცნობილი სხვა პარტნიორი უსდ-სთვის. პარტნიორი უსდ ვალდებულია შეატყობინოს სხვა პარტნიორ უსდ-ებს მისი ქვეყნის საგანმანათლებლო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესახებ, თუ ეს ცვლილებები დაკავშირებულია ერთობლივი პროგრამის განხორციელებასთან ან/და პარტნიორ უსდ-ებს შორის დადებული შეთანხმების პირობებთან;

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა ხდება პარტნიორი უსდ-ების შესაბამისი სამსახურების (ბნსუ-ს შემთხვევაში – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის) მიერ. პროგრამის განხორციელების ხარისხის და შემდგომი სრულყოფის მიზნით გამოიყენება პროგრამის შეფასება და სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ანონიმური გამოკითხვები, პოტენციური დამსაქმებლებისა და დარგის სპეციალისტების მოსაზრებების შესწავლა და სხვ. ანონიმური გამოკითხვის მეშვეობით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი და სტუდენტები აფასებენ სასწავლო პროცესს, პროგრამას და პროგრამის კომპონენტებს, სტუდენტები ასევე აფასებენ პროგრამის განმახორციელებელ პირებს; პოტენციური დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები აფასებენ პროგრამის აქტუალობას, შინაარსს, მიზნებს და დაგეგმილ შედეგებს - კურსდამთავრებულების კომპეტენციებს, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების და კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას და სხვ. მონიტორინგის, გამოკითხვების შედეგების, პოტენციური დამსაქმებლების, დარგის სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებების, წინადადებების და რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე პარტნიორი უსდ-ების შესაბამისი სამსახურების მიერ შემუშავდება პროგრამის და მისი განხორციელების სრულყოფის მექანიზმები. პარტნიორი უსდ-ების შესაბამისი სამსახურები მოქმედებენ კოორდინირებულად და ურთიერთშეთანხმებულად: აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას გარე და შიდა შეფასებების შედეგების, აღმოჩენილი ხარვეზების, მათი გამოსწორების გზებისა და შედეგების შესახებ, ერთობლივად გეგმავენ პროგრამის დახვეწის მექანიზმებს და შიმუშავებენ რეკომენდაციებს მეცნიერებისა და პრაქტიკის სიახლეების, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების და ტენდენციების შესაბამისად. პროგრამის შეფასებისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგალითად: პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი; პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი; პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების შეფასებების ანალიზი; პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი; პროგრამის SWOT ანალიზი; მობილობით გადასული პროგრამის სტუდენტების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში); პროგრამაზე მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში); პროგრამის პირველ კურსზე ჩარიცხვის დინამიკა (სტუდენტების რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში); პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში); პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომების GPA-ს საშუალოარიტიმეტიკული მაჩვენებელი; პროგრამის დასაქმებული კურსდამთავრებულების საერთო რაოდენობა (წლების მიხედვით); მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში); დამსაქმებელთა მიერ მათთან დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების კომპეტენციების დონის შეფასება და/ან სხვ.

3. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეიქმნას ერთობლივი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ პარტნიორი უსდ-ების შესაბამისი სამსახურების (ბნსუ-ს შემთხვევაში – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის) უფროსები და დარგის სპეციალისტები – აკადემიური პერსონალი (პროფესორთა შემადგენლობიდან) და მოწვეული სპეციალისტები. პარტნიორი უსდ-ების ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით/შეთანხმებით შესაძლებელია ამ კომისიის მუშაობაში სპეციალური კომპეტენციების მქონე პირების (სპეციალისტების, ექსპერტების და/ან სხვ.) ჩართვა;

4. გადაწყვეტილება პროგრამაში შესაძლო ცვლილებების ან/და პროგრამების შესაძლო მოდიფიცირების შესახებ უნდა ეცნობოს პარტნიორ დაწესებულებას. პროგრამის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორი დაწესებულების ქვეყნის კანონმდებლობაში შესული ცვლილებები, გარე შეფასების შედეგები, შიდა შეფასების შედეგები (მათ შორის, სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები, პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები და სხვ.). ურთიერთშეთანხმებული მოდიფიცირებული პროგრამის დამტკიცება ხდება პარტნიორ უსდ-ებში მოქმედი წესების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ. პარტნიორმა უსდ-მ შეიძლება უარი თქვას მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანაზე/მოდიფიცირებული პროგრამის განხორციელებაზე, თუ ამ ცვლილებებით დაირღვევა მისი ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნები, მოდიფიცირებული პროგრამა არ შეესაბამება მის მისიას და საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, პარტნიორი დაწესებულების აზრით ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას განათლების და შრომის ბაზარზე ან/და სხვ.;

5. ერთობლივი პროგრამის განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმება იწვევს ერთობლივი პროგრამის გაუქმებას. პარტნიორ უსდ-ს შეუძლია შეიმუშაოს რეკომენდაცია/მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ, რის შესახებ მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სხვა პარტნიორ უსდ-ებს. პროგრამა შეიძლება გაუქმდეს, თუ მისი განხორციელების სურვილი/შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ერთ პარტნიორ უსდ-ს, პროგრამის ერთობლივად განხორციელების შესახებ შეთანხმების მიღწევის შემდეგ კანონმდებლობაში ცვლილებების გამო მხოლოდ ერთი პარტნიორი უსდ-ს ქვეყნის კანონმდებლობა უშვებს ერთობლივი პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას, პარტნიორი უსდ-ს ქვეყნის კანონმდებლობაში შესული ცვლილებები იწვევენ უკვე მიღწეულ შეთანხმებებში არსებით ცვლილებებს, მნიშვნელოვნად ართულებენ ან/და გამოიცხადებენ უკვე მიღწეული შეთანხმებების შესრულებას, პროგრამაზე არ სწავლობს არც ერთი სტუდენტი, პროგრამა არარენტაბელურია, აღარ შეესაბამება პარტნიორი უსდ-ის მისიას და საგანმანათლებლო პრიორიტეტულ მიმართულებებს (მისიაში და პრიორიტეტებში შესული ცვლილებების გამო) ან/და სხვ. ერთობლივი პროგრამის გაუქმების/განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი პარტნიორი უსდ-ის ინფორმირება და სტუდენტების განათლების მიღების უწყვეტობის შესაძლებლობა - პროგრამის სტუდენტების წინასწარი ინფორმირება და პროგრამით სასწავლო პროცესის გაგრძელება მიმდინარე სემესტრის/აკადემიური წლის დასრულებამდე.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;
2. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით და დაკავშირებულია ბნსუ-ს მიერ ერთობლივი პროგრამის განხორციელებასთან, წყდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და რეგულირდება ბნსუ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელება მარეგულირებელი დებულებებით და სხვა რეგულაციებით/წესებით;
3. ბნსუ ვალდებულია უზრუნველყოს პარტნიორი უსდ-ების ინფორმირება წინამდებარე დებულების და ბნსუ-ში მოქმედი სხვა რეგულაციების/წესების შესახებ, ხოლო პარტნიორი უსდ-ები ვალდებული არიან გაეცნონ ამ დებულებებს/წესებს და გაითვალისწინონ ისინი;
4. სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ერთობლივ პროგრამაზე, და პერსონალი/თანამშრომლები, რომლებიც შეიმუშავებენ პროგ-



რამას/პროგრამაში ცვლილებებს, უძღვებიან, ახორციელებენ, მონაწილეობენ ან უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის წარმართვას და ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას, ბნსუ-ს ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ წინამდებარე დებულების გაცნობის შესაძლებლობა;

5. წინამდებარე დებულების მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმარტებლად;

6. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით. ცვლილებების მიღებამდე მოხდება პარტნიორი დაწესებულებების ინფორმირება ცვლილებების შინაარსის შესახებ;

7. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება წინამდებარე დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე, თუ ეს არ არღვევს ან არ ეწინააღმდეგება პარტნიორი დაწესებულებების მიერ მიღწეულ შეთანხმებებს;

8. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში და პარტნიორი დაწესებულებების ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობით და დაწესებულებებში მოქმედი რეგულაციებით პარტნიორ დაწესებულებებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე;

9. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი წესის დამტკიცების შემთხვევაში.